ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N CNF-23
(დაფინანსების წყარო: კავკასიის ბუნების ფონდიდან გამოყოფილი გრანტი)

ქ. თბილისი

10 ივლისი, 2019 წელი

ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“**, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი დოლიძის სახით (შემდგომში _ „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, **ფიზიკური პირი ,,ბესიკ ნასრაშვილი"** (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 **ხელშეკრულების საგანია** სპეციალური ტექნიკის (ტრაქტორი) ოპერატორით დაქირავების **(CPV45520000 – მიწის სათხრელი მოწყობილობების და მათი ოპერატორების დაქირავება)** სახელმწიფო შესყიდვა, (შემდგომში “მომსახურება”) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „გამარტივებული შესყიდვის ელექტრონული თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე–2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

1.2 შესყიდვა ხორციელდება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საჭიროებისათვის.

საფუძველი: წერილი: N6416; 24.06.19 წ.;

1.3 მომსახურების გაწევა ჯამში უნდა განხორციელდეს 25 საათის განმავლობაში;

1.4 ერთი საათის მომსახურების ღირებულება შეადგენს **100 (ასი) ლარს**.

1.5 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს**, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების და გადასახადების ჩათვლით, მათ შორის საშემოსავლო გადასახადი, რომლის გადახდას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

2.1 შესყიდვის ობიექტი: სპეციალური ტექნიკის ოპერატორით დაქირავების მიზანია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში არსებული ბუნგალოებისა და რეინჯერთა სადგურებთან მისასვლელი საავტომობილო გზის წყობიდან გამოსული 11 კმ-იანი მონაკვეთის აღდგენის მომსახურება.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მომსახურების გაწევა (დაქირავება) უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს ა.წ. 30 ივლისამდე პერიოდში, დღეში არანაკლებ 8 საათის განმავლობაში;

3.2 მომსახურება განხორციელდება სპეციალური ტექნიკით: ექსკავატორი: მარკა-GCB; მოდელი-3DX; სახ.N SS 467 BO, რომელიც აღჭურვილია ბულდოზერის წინა დანით;

3.3 გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი ახორციელებს ინსპექტირებას;

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის ინსპექტირების მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. ხელშეკრულების მოთხოვნებთან მომსახურების შესაბამისობის და გაწევის ვადების დადგენა;

4.3. გაწეული მომსახურების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსი ვაჟა ჩერქეზიშვილი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად;

5.2. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს გაწეულ მომსახურებას, ხოლო, თუ მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდება, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული მომსახურება, მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით;

5.3 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი მერაბ ფიროსმანიშვილი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. „შემსყიდველს" გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.2. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.1.4 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 25 საათი არ იქნება საკმარისი 11 კმ მონაკვეთის აღდგენისათვის, გზის აღდგენა სრულად განახორციელოს დამატებითი ღირებულების მოთხოვნის გარეშე.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), შემსყიდველს დაეკისრება პირსაგამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.3 ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2018 წლის 31 იანვრამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზების დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში აღნიშნულ მიმწოდებელთან.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, გულუას ქ.№6.
ტელ: 2752352
ს/კ: 204911337
სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი: TRESGE22,
ა/ა #GE24NB0330100200165022

გიორგი დოლიძე
თავმჯდომარის მოადგილე

„მიმწოდებელი“

ფიზიკური პირი „ბესიკ ნასრაშვილი“
ქ.დედოფლისწყარო
პირადი N 14001020466
ს.ს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა №GE31BG0000000101177072

ბესიკ ნასრაშვილი
ფიზიკური პირი

LLIP AGENCY OF PROTECTED AREAS
Digitally signed by LLIP AGENCY OF PROTECTED AREAS
Date: 2019.07.10 11:43:16 +04'00'